



ბათუმის ლიცეუმის  
„ევრო 2000“ დირექტორს  
ბატონ პროფესორ ანზორ აბუსერიძეს  
გორგასლის ქ. 91ა  
ბათუმი 6010  
საქართველო

დოქტ. ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი  
საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი  
გერმანიის პარლამენტის წევრი

ბერლინი, 2015 წლის 30 ნოემბერი

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო,

თქვენ, როგორც ლიცეუმის „ევრო 2000“ დირექტორი, წარმოადგენთ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივის „სკოლები: მომავლის პარტნიორები“ (PASCH) პარტნიორი სკოლების მსოფლიო ქსელის ნაწილს. მას შემდეგ, რაც 2008 წელს ეს ინიციატივა დაიწყო, პარტნიორულ ქსელში მსოფლიოს 1800-ზე მეტი სკოლა გაერთიანდა, რომლებშიც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გერმანული ენის სწავლებასა და კულტურათა შორის დიალოგს.

კულტურისა და განათლების საგარეო პოლიტიკის სფეროში მოღვაწე ჩვენ პარტნიორებთან, მოსწავლეებთან, ყოფილ სტიპენდიატებთან, განათლების სფეროს წარმომადგენლებთან, სკოლის დირექტორებთან და მასწავლებლებთან ერთად გვსურს მომავალ წელს შევიკრიბოთ და განვიხილოთ სომომავლო გეგმები, რათა ჩვენი პარტნიორებისათვის მთელ მსოფლიოში და ჩვენთვის უფრო წარმატებული გახდეს ჩვენი საქმიანობა კულტურისა და მეცნიერების, განათლებისა და კვლევების, სპორტისა და კომუნიკაციის სფეროებში.

ამ მიზნით გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო 2016 წლის 13-15 აპრილს ბერლინში მართავს კულტურისა და განათლების სფეროს საგარეო პოლიტიკურ ფორუმს სახელწოდებით „მსოფლიო კლასი! სკოლა. განათლება. მომავალი“. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ფორუმზე იწვევს სკოლის დირექტორებს, გერმანული ენის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს მსოფლიოს 50 პარტნიორი სკოლიდან. გარდა ამისა მოწვეულნი არიან საზღვარგარეთის ქვეყნების განათლების სამინისტროების წარმომადგენლები. ფორუმს გააშუქებს პარტნიორი სკოლების გერმანული ენის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან შემდგარი სარედაქციო ჯგუფი.